თამაზ ნუცუბიძე

მსოფლიო აბლაბუდა

XX საუკუნის დასასრული გამოირჩეოდა ტელეკომუნიკაციების, ტექნოლოგიების პროგრესული განვითარებით, გაჩნდა რეალური სამყაროდან ვირტუალურში გასვლის შესაძლებლობა, ჩამოყალიბდა გლობალური საინფორმაციო სივრცე, ინტერნეტი, რომელსაც მეცნიერებმა მსოფლიოს აბლაბუდა უწოდეს. იგი გახდა არა მარტო თეორიულად საინტერესო, არამედ პრაქტიკულადაც აუცილებელი. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებაზე.

ინტერნეტი გახდა ინფორმაციის ნაკადის არამარტო გადაცემის, არამედ გასაღების დიდი ბაზარი. ინტერნეტმა მოხსნა გეოგრაფიული შეზღუდვები ქვეყნებს შორის, ეს მსოფლიოს კომპიუტერული ქსელია, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის მილიონობით ლოკალურ და გლობალურ ქსელებს აერთიანებს. კომუნიკაცია გახდა აუცილებელი სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე. ამავე დროს გლობალური ინფორმაციული ქსელის _ ინტერნეტის გაჩენასთან ერთად კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო პრობლემა გახდა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სიახლეების დანერგვამ არსებითად და ძირეულად შეცვალა საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობის ხასიათი, იგი თავისებურად აისახა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაშიც.

გლობალიზაცია განპირობებული გახდა კომუნიკაციის საშუალებების ღირებულების შემცირებით. დღეისათვის ინტერნეტის ქსელით სარგებლობს მსოფლიოს ასობით მილიონი ადამიანი და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება, რაც აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკაში გარდამავალ ეფექტს.

თუ რამდენიმე წლის წინ შორ მანძილზე ინფორმაციის გაგზავნას რამდენიმე დღე სჭირდებოდა და ღირებულებაც სოლიდური იყო, დღეს საუკეთესო ქსელებით ამავე მანძილზე ინფორმაციის გაგზავნას რამდენიმე წუთი და უმნიშვნელო თანხა ესაჭიროება. ღირებულება თითქმის ათასჯერ დაეცა და სიჩქარე სამასი ათასჯერ გაიზარდა. სიჩქარის კოლოსალურმა ზრდამ ამავე დროს ღირებულების შემცირებამ, ინფორმაციის უსწრაფესმა გადამუშავებამ საშუალება მისცა ქვეყნებს ცხოვრების ყველა სფეროში მომავალი განვითარებისათვის. ინტერნეტმა მკვეთრად შეამცირა მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის კონტაქტების აუცილებლობა.

ინტერნეტმა დაგვანახა, რომ ინფორმაციის შეგროვება, ინტერპრეტაცია და გავრცელება აღარაა სახელმწიფოს ექსკლუზიური პრეროგატივა. ამავე დროს ინტერნეტი, როგორც კომუნიკაციის ახალი ფორმა, მიზანმიმართულად ერთდროულად გამოასხივებს როგორც ნეგატიურ, ისე პო-

ზიტიურ თვისებებს. ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ინტერნეტის გლობალური ქსელის ფუნქციონირების პოზიტიური მომენტები, მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ მისი ნეგატიური მოქმედების ზოგიერთი შედეგების შესახებ.

როგორც ექიმები და ფსიქოლოგები გვიმტკიცებენ, ადამიანის ნორმალური განწყობისათვის აუცილებელია მუდმივი კონტაქტი სულიერად ახლო მდგომ სოციალურ სფეროსთან.

მეცნიერების დაკვირვებით, ინტერნეტის მუდმივი ზემოქმედება ადამიანზე იწვევს სოციალური აქტივობის დაქვეითებას, ინტერნეტთან ხანგრძლივი ჯდომა იწვევს დეპრესიას და მარტოობის გრძნობას, აქ არა აქვს მნიშვნელობა, რა სახის ინფორმაციას იღებს იგი.

ეკონომიკური გლობალიზაცია მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიების უწყვეტი, მუდმივად მზარდი განვითარების ფონზე. კომუნიკაციების სტრუქტურები პოლიტიკური სისტემის პარალელურად ვითარდება. ამდენად, ინფორმაციის გაცვლის ტექნიკური საშუალებების წყალობით ინტერნეტი აქტიურად გამოიყენება საარჩევნო პროცესის წარმართვისათვის.

დღეს საარჩევნო ტექნოლოგიები არ არსებობს საკომუნიკაციო პროცესების გარეშე. საარჩევნო ტექნოლოგია, როგორც საკომუნიკაციო ზემოქმედება, მანიპულაციის საუკუეთესო საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც დეპუტატობის კანდიდატი და მისი პოლიტექნოლოგები ახორციელებენ ელექტორატის მართვას, სასურველი პოლიტიკური ქმედების შესასრულებლად.

როგორც ჩვენთან, ასევე მსოფლიოს ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არჩევნებში გამარჯვება მიიღწევა არა ღია კონკურენტუნარიანობით, არამედ ამომრჩეველზე საინფორმაციო მანიპულირების გზით.

ყურადღებას იპყრობს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, აქ საუბარია ინტერნეტ საიტებზე კომპრომატების დადების სისწრაფესა და ოპერატიულობაზე. რიგ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია დაუზუსტებელია _ ყალბია, მაგრამ მას აგრეთვე იტაცებენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები გასავრცელებლად, რაც გამავრცელებელს _ არაკეთილსინდისიერ პარტიას, კანდიდატს სასტარტოდ განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს. ინტერნეტის სპეციფიკაც იმაშია, რომ დადებულ საიტს არა ჰყავს პასუხისმგებელი პირი, სიტყვის თავისუფლება, ანონიმურობა მთავარი პრინციპია აღნიშნული საიტისა, რომელიც არასდროს ირღვევა.

ინტერნეტი კომუნიკაციის ორგანიზებისას ქმნის ახალ ენობრივ საინფორმაციო მახასიათებლებს, მიმართულს ანგლოენობრივ ექსპანსიაზე, აქ ჩვენ უნდა გამოვიდეთ რეალობიდან, დღესდღეობით აშშ გვევლინება როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა სამეცნიერო-ტექნიკურ, საფინანსო, ეკონომიკურ, სამხედრო სფეროებში, მასობრივ-საინფორმაციო ტექნოლოგიებში.

ინტერნეტის მომხმარებელი ძირითადად მსოფლიოში ანგლოამერიკული კულტურის მატარებელია.

TAMAZ NUTSUBIDZE

S u m m a r y

The last period of the XX century was distinguished by progressive development of telecommunications, technologies. Global information space has been created that became not theoretically interesting only but practically inevitable as well.

If a few years ago, sending of short information to a far distance needed some days with high value, today sending of information at the same distance needs some seconds and a little money via the best networks. Value was decreased almost with one thousand times and speed was increased with 300 thousand times. Colossal increase of speed and reduction of cost at the same time, the most rapid processing of information gave possibility to states for further development in any sphere of life.

Via technical facilities of information exchange, internet is used actively for conducting election process.

Thus, election technologies have not been existed today without communication processes. At the same time, election technology, as communication impact is the best facility of manipulation, through which a candidate and his (her) political technologist carry out management of electorate - in order to perform desirable political action.

Utilization of a computer is paid great attention in the field of political battle. Here, the talk is about internet sites, quickness of putting compromising and operatibility. In some cases, such information is non-defined - it is false but it is plundered by mass media to be published, which gives preferential right to the distributor, non-conscious party, candidate in starting stage.

Of course here are peculiarities too. We should leave reality, today the USA seems as the leading country all over the world in scientific-technical, financial, economic, military spheres and mass-information technologies. Internet user is a bearer of Anglo-American culture in the world.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნუცუბიძე თ. გლობალიზაცია და დემოკრატია. ჟურნ.: ,,ხელისუფ-ლება და საზოგადოება''. #4, თბ., 2010.
2. ნუცუბიძე თ. საინფორმაციო სივ-რცის გლობალიზაცია, სტუ, თბ., 2010.
3. კუტუბიძე კ. სახელმწიფო სუვე-რენიტეტი და გლობალური ინ-ტერესები, თბ., 2002.
4. ჯიჯეიშვილი ქ. პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ., 2009.
5. ჩოგოვაძე გ. ინფორმაცია, საზო-გადოება, ადამიანი, თბ., 2003.